

ქ. ნანობაშვილი, ვ. ტაკაშვილი, ფ. პაატაშვილი

## Web-ტექნოლოგიები

(MACROMEDIA DREAMWEAVER)

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქ. ნანობაშვილი, ვ. ტაგაშვილი, ფ. პაატაშვილი

**Web-ტექნოლოგიები**

(MACROMEDIA DREAMWEAVER)



რეკომენდებულია სტუ-ის  
სარგებლურო-საგამომცემლო საბჭოს  
მიერ. 16.12.2010, ოქმი №7

თბილისი  
2011

რეკომენდებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ინფორმაციის ფაკულტეტის პროფესიული და ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის, აგრეთვე ვებ-გვერდის შექმნით დაინტერესებულ პირთათვის.

შემოთავაზებულია ვებ-გვერდის შექმნის მეთოდოლოგია, კერძოდ განხილულია MACROMEDIA DREAMWEAVER და FIREWORKS. იგი დიდად დაეხმარება სტუდენტებს და დაინტერესებულ მკითხველს, რათა შექმნას საკუთარი საიტი და ინტერნეტში განათავსოს.

რეცენზენტი გ. დვინეგაძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2011  
ISBN 978-9941-14-884-2  
<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს კლეპტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სააკტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

## **შინაგანი**

### **I თავი HTML ენა**

შესავალი.	5
1.1 HTML დოკუმენტის სტრუქტურა.	8
1.2 HTML დოკუმენტის შენახვა და გახსნა.	10
1.3 ფერები.	12
1.4 შრიფტის დაფორმატება.	16
1.5 აძალები და სათაურები HTML დოკუმენტში.	18
1.6 Font.	22
1.7 სიები.	26
1.8 გამოსახულება HTML დოკუმენტში.	32

### **II თავი**

### **MACROMEDIA DREAMWEAVER**

2.1 ფრეიმების ჩასმა.	38
2.2 ტექსტის ჩასმა და რედაქტირება.	41
2.3 Image - გრაფიკული ობიექტის მოთავსება.	44
2.4 Hyperlink - პიპერმიმართვის მოთავსება.	47
2.5 ცხრილის მოთავსება.	50
2.6 Flash-ტექსტის და Flash-დილაკების ჩასმა.	52
2.7 ჩამოშლადი მენიუს შექმნა.	55
2.8 Rollover Image - ის მოთავსება.	60
2.9 სანავიგაციო დილაკების ჩასმა.	62
2.10 Email link ელექტრონული ფოსტის მისამართის მოთავსება.	66
2.11 Named Anchor - ნიშნულის მოთავსება.	68
2.12 Comment - კომენტარის ჩასმა.	70
2.13 Insert date თარიღის ჩასმა.	71
2.14 ახალი CSS სტილის შექმნა (CSS-კლასიკური სტილების ცხრილი cascading style sheets).	73
2.15 ფორმების შექმნა და გაუქმება.	74
2.16 Hidden Filed - ფარული ველის ჩასმა.	77
2.17 ალმის Checkbox ჩასმა.	78
2.18 გადამრთველების ჯგუფის Radio group ჩასმა.	80

2.19 გაშლადი მენიუს ტიპის List Menu ხის ჩასმა.	81
2.20 Layer ფენის ჩასმა.	83
2.21. საიტის ატვირთვა სერვერზე.	84

### **III თავი MACROMEDIA FIREWORKS**

3.1. ახალი დოკუმენტის შექმნა.	88
3.2. ობიექტის მონიშვნის ბრძანებები.	89
3.3. ობიექტის რედაქტირების ბრძანებები.	90
3.4. სურათზე ტექსტისა და გეომეტრიული ფიგურების მოთავსება.	91
3.5. სურათზე ლინკის მოთავსება.	92
3.6. ფერების ჩასმა.	94
3.7. View-ს ბრძანებები.	95
3.8. სურათზე ფერების გასწორება.	96
ლიტერატურა . . . . .	104

## შესავალი

Web-გვერდის	შექმნა	სპეციალური
რედაქტორით	Macromedia Dreamweaver-ით	და
ანალოგიური	რედაქტორებით	ხორციელდება.
ნებისმიერი რედაქტორით	Web-გვერდის ფორმირება ხორციელდება ვიზუალური დაპროექტების რეჟიმში.	
Web-გვერდის	შექმნა	პგავს Word-ში
დოკუმენტის შექმნას.		

Macromedia Dreamweaver მრავალფუნქციური რედაქტორია, რომლის საშუალებით შეიძლება შექმნას ნებისმიერი სირთულის Web-გვერდი. რედაქტორში მუშაობის ასათვისებლად საჭიროა მინიმუმ ტექსტური რედაქტორის Word-ის ცოდნა.

Web-გვერდის ფორმირებისას რედაქტორის მიერ ავტომატურად გენერირდება ამ გვერდის შესაბამისი Html კოდი. ბუნებრივია, ისმის კითხვა, ამ შემთხვევაში აუცილებელია თუ არა Html ენის ცოდნა?

Html ენის ცოდნა მინიმუმ ორი  
მიზეზითაა საჭირო:

პირველი – Macromedia Dreamweaver -ით Web-გვერდის ფორმირებისას სისტემის მიერ გენერირებული Html შეიცავს კოდი დიდი რაოდენობის ტეგებს, რომლებიც გენერირებულა იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოცემული პარამეტრის მნიშვნელობა გაჩუმებით სისტემის მიერ აღიქმება. მათი ამოშლა კოდიდან ამცირებს გვერდის მოცულობას და, შესაბამისად, ზრდის ბრაუზერში გვერდის ჩატვირთვის სიჩქარეს. Html ენის ცოდნა საშუალებას გვაძლევს კოდის მოცულობის შემცირების მიზნით, ჩატარდეს სისტემის მიერ გენერირებული კოდის რედაქტირება.

მეორე – Web-გვერდზე შეიძლება დავამატოთ ისეთი ეფექტები, რომელთა Html კოდის გენერირება სისტემის მიერ არ ხორციელდება.

Web-გვერდის ასაწყობად ასევე ვიყენებთ სხვადასხვა ვიზუალურ დაპროგრამების ენებს. გარდა პროგრამირების ცოდნისა, Web-გვერდის

შესაქმნელად პროგრამისტს აუცილებლად  
სჭირდება რომელიმე გრაფიკული პროგრამის  
გამოყენება. სწორედ, ჩვენი მიზანია სტუდენტებს  
და არა მარტო მათ, შეძლებისდაგვარად  
ვასწავლოთ **Macromedia Fireworks** და მისი  
ძირითადი მართვის ობიექტები, რომლებსაც  
გამოიყენებენ პრაქტიკაში Web-გვერდების  
ასაწყობად, ასევე სურათის გასაღამაზებლად და  
სამგანზომილებიანი ობიექტების (ტექსტების,  
ანიმაციების) შესაქმნელად. მოყვანილი თემები,  
სტუდენტებს დიდად დაეხმარება პროგრამის  
შესწავლაში.

## I თავზო

### HTML ენა

#### 1.1. HTML დოკუმენტის სტრუქტურა

Html ენა დოკუმენტების მონიშვნის ენაა. HTML  
დოკუმენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია  
`<html>`. ის იწყებს HTML დოკუმენტს, ხოლო `</html>`  
წარმოადგენს HTML დოკუმენტის ბოლო სტრიქონს.  
ისეთი ტიპის ჩანაწერებს, რომლებიც იწყება „`<`“ და  
მთავრდება „`>`“ ნიშნით, ეწოდება HTML ტეგები.  
ტეგები `<html>` და `</html>` აღნიშნავს, რომ მათ შორის  
მდებარე სტრიქონები წარმოადგენს ერთიან HTML  
დოკუმენტს. ამ ტეგების გარეშე ბრაუზერს ან სხვა  
მსგავს პროგრამას არ შეუძლია დოკუმენტის  
ფორმატის იდენტიფიცირება და მისი სწორად  
ინტერპრეტირება.

`<head> ...</head>` ტეგი მიუთითებს დოკუმენტის  
სათაურის დასაწყისსა და დასასრულზე. ყველაფერი,  
რაც მოთავსებულია `<title>` და `</title>-ს` შორის,  
წარმოადგენს დოკუმენტის სახელწოდებას, რომელიც  
ჩნდება ბრაუზერის ფანჯრის სათაურის ზოლში.

<body>... </body> მიუთითებს html დოკუმენტის ტანის (ძირითადი ნაწილის) დასაწყისსა და დასასრულზე. ამ ტეგში იწერება ყველაფერი ის, რის განთავსებასაც Web-გვერდზე გაპირებთ (ტექსტი, სურათები, ცხრილები და ა.შ.).

კომენტარები ეკრანზე ბრაუზერის მიერ არ აისახება.

<! - - ერთსტრიქონიანი კომენტარი - - >

<! მრავალსტრიქონიანი კომენტარი>

<ტეგი></ტეგი> - მსგავსი კონსტრუქციის ტეგებს ჰქონდება ტეგი-კონტენტი-ტეგი. ისინი შეიძლება შეიცავდნენ სხვა ტეგებს და ტექსტს. ზოგიერთი ტეგი, მაგალითად, ტეგი <br> არ მოითხოვს დახურვის ტეგს.

ტეგების გახსნისა და დახურვის მიმდევრობა გამოიყერება შემდეგნაირად:

<ტეგი1> <ტეგი2> <ტეგი3>. . . </ტეგი3>  
</ტეგი2> </ტეგი1>. სხვა მიმდევრობით ტეგების განლაგებამ შეიძლება მოგცეთ შეცდომა.

ტეგები შეგიძლიათ დაწეროთ როგორც დიდი, ასევე პატარა ასოებით, ბრაუზერისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

## 1.2. HTML დოკუმენტის შენახვა და გახსნა

პირველ რიგში შექმენით ცალკე საქაღალდე თქვენი მომავალი Web გვერდისათვის; შემდეგ გახსენით Notepad (start→programs→accessories→→notepad) და აკრიფეთ მასში ტექსტი:

მაგალითი

<html>

<head><title>My first page</title></head>

<body>

Hello!

</body>

</html>


შეინახეთ ფაილი შემდეგნაირად:

- File → Save as

- შემდეგ შეიტანეთ დოკუმენტის სახელი, მაგალითად, index.html (არ აკრიფოთ მხოლოდ index; აუცილებლად მიუთითეთ გაფართოება html).

გახსენით ბრაუზერი, მაგალითად, Internet Explorer და დაათვალიერეთ თქვენ მიერ შექმნილი დოკუმენტი. File → open→browse→index.html

ჩვენ მიერ შექმნილი მარტივი Web-გვერდი ასე გამოიყერება:



### სურ.1.1. მარტივი Web-გვერდი

- იგივე კოდი შეგვიძლია შევიტანოთ პროგრამა – Macromedia Dreamweaver-ში შესაბამის ადგილას, რომელიც ასე გამოიყერება:

The screenshot shows the Macromedia Dreamweaver 8 interface. The title bar says 'Macromedia Dreamweaver 8 - [C:\Documents and Settings\Administrator\Desktop\site\index.html (XHTML)]'. The main area is the code editor, showing the following HTML code:

```

<!DOCTYPE html PUBLIC "-//W3C//DTD XHTML 1.0 Transitional//EN"
"http://www.w3.org/TR/xhtml1/DTD/xhtml1-transitional.dtd">
<html xmlns="http://www.w3.org/1999/xhtml">
<head><title>My first page</title></head>
<body>
Hello!
</body>
</html>

```

### სურ.1.2. პროგრამა–Macromedia Dreamweaver-ში კოდის შესატანი ადგილი

ამის შემდეგ, ყველა კოდს უპარ შევიტანოთ აღნიშნულ პროგრამაში.

### 1.3. ვერტები

Html-ში ფერები განისაზღვრება ციფრებით თექვსმეტობით კოდში. ფერების გამა ეყრდნობა სამ ძირითად ფერს: წითელს, მწვანესა და ლურჯს. იგი აღინიშნება RGB-თი. ფერი შეიძლება აღიწეროს როგორც მისი დასახელებით, ისე მნიშვნელობით RGB (Red, Green, Black) პალიტრაში. თითოეული ფერისათვის მიეთითება თექვსმეტობით მნიშვნელობა 00-დან FF-მდე, რასაც ათობით

სისტემაში შესაბამება 0-255 დიაპაზონი. შემდეგ ეს  
მნიშვნელობები ერთიანდება ერთ რიცხვში,  
რომელთა წინ იწერება # სიმბოლო. მაგალითად:  
რიცხვი #800080 აღნიშნავს იისფერს.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:  
text = #FFFFFF. წითლით, მწვანითა და ლურჯით  
გაჯერებულობა ერთი და იგივე (FF არის რიცხვ  
255-ის თექვსმეტობითი წარმოდგენა), შედეგი -  
თეთრი ფერი. text = #000000, წითლით, მწვანითა და  
ლურჯით გაჯერებულობა, ამ შემთხვევაშიც ერთი  
და იგივე (00). შედეგი - შავი ფერი. text = #FF0000.  
წითლით გაჯერებულობა - FF, მწვანით და ლურჯით  
- 00. შედეგად მიიღება წითელი ფერი.


ქვემოთ მოცემულია თექვსმეტი სტანდარტული  
ფერი, თავისი შესაბამისი თექვსმეტობითი კოდებით:  
ფერი კოდი  
Black #000000  
Maroon #800000  
Green #008000  
Olive #808000  
Navy #000080

Purple #800080  
Teal #008080  
Gray #808080  
Silver #C0C0C0  
Red #FF0000  
Lime #00FF00  
yellow #FFFF00  
blue #0000FF  
Fuchsia #FF00FF  
Aqua #00FFFF  
White #FFFFFF  
მაგალითი <html>  
<head>  
<title> My html Document </title>  
</head>  
<body>  
Hello! This is my first page  
<br>  
<font color =“#000080”> Welcome! </font>  
</body>  
</html>

ტეგი <font></font> მრავალფუნქციური ტეგია.  
შემდგომში მას უფრო დაწერილებით განვიხილავთ.  
ტექსტის ფერის მითითება სხვაგვარადაც შეიძლება:  
<body text="red">; ეს ნიშნავს, რომ მთელი ტექსტი  
იქნება წითელი ფერის, გარდა იმ ტექსტისა,  
რომელიც მოთავსებულია <font></font> ტეგებს  
შორის. შესაბამისი ფერის მიუთითებლობის  
შემთხვევაში, ტექსტი იქნება შავი ფერის.

დოკუმენტის ფონი განისაზღვრება  
შემდეგნაირად: <body bgcolor="#C0C0C0">  
საბოლოოდ, დოკუმენტი მიიღებს სახეს:

```
მაგალითი <html>
<head>
<title>My html Document </title>
</head>
<body text="#FF0000" bgcolor="#C0C0C0">
Hello! This is my first page
<br>
<font color="#000080"> Welcome!</font> My name is Tea
</body>
</html>
```



სურ.1.3. ტექსტი ფერით და ფონით

#### 1.4. შრიფტის დაფორმატება


განვიხილოთ შრიფტის დაფორმატებისთვის  
საჭირო ტეგები:

- <B> მუქი შრიფტი </B>;
- <I> დახრილი შრიფტი </I>;
- <S> გადახაზული ტექსტი </S>;
- <U> ხაზგასმული ტექსტი </U>;

მივიღებთ:

გაგალიო:

```
<html>
<head>
<title>fonts</title>
</head>
<body bgcolor="#FFFFFF">
<br><font face="Sylfaen"><b>გამუქებული
ტექსტი</b><br>
<br><font face="Sylfaen"><i>დახრილი ტექსტი</i><br>
<br><font face="Sylfaen"><u>ხაზგასმული
ტექსტი</u><br>
<br><font face="Sylfaen"><s>გადახაზული
ტექსტი</s><br>
</body>
</html>
```



სურ. 1.4.

## 1.5. აპზაცები და სათაურები HTML დოკუმენტში

HTML-ს აქვს ექვსი სხვადასხვა ზომის სათაურის შექმნის შესაძლებლობა. მათ მინიჭებული აქვთ ნომრები 1-დან 6-ის ჩათვლით. პირველი დონის სათაური H1 ყველაზე მსხვილია, შესაბამისად, H6

ყველაზე წერილია. <H1> ტეგს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მისი შესაბამისი დახურვის ტეგი </H1>.

<p>...</p> წერილი აღწერს აბზაცს. ყველაფერი, რაც მოთავსებულია <p> და </p>-ს შორის, აღიქმება როგორც ერთი აბზაცი.

სათაურებისა და აბზაცის ტეგების მეშვეობით შესაძლებელია ტექსტის გასწორება მარცხენა კიდიდან, მარჯვენა კიდიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან ერთდროულად და ცენტრირება. მაგალითად:

LEFT - ტექსტი გასწორდება მარცხენა მხრიდან;

CENTER - ტექსტი მოთავსებული იქნება ცენტრში;

RIGHT - ტექსტი გასწორდება მარჯვენა მხრიდან;

JUSTIFY - ტექსტი გასწორდება ორივე მხრიდან.

იმისათვის, რომ გადახვიდეთ მომდევნო სტრიქონზე მიმდინარე სტრიქონის ნებისმიერ ადგილას, Html-ზი არსებობს სტრიქონის გაწყვეტის ტეგი <br>. აბზაცის ტეგისგან განსხვავებით, <br> სტრიქონსა და სტრიქონს შორის არ ტოვებს ადგილს. <br>-ს არა აქვთ შესაბამისი დახურვის ტეგი.

მაგალითი:

<html>

<head><title>html document's formatting </title></head>

<body>

<H1>Georgia </H1>

<H2 ALIGN = "center"> Kakheti </h2>

<p align = "justify">

Kakheti is a province in Eastern Georgia. It is bordered by the small mountainous province of Tusheti and mountain-range of Greater Caucasus to the north, Azerbaijan to the east and the south, and the Georgian province of Kartli to the west. Kakheti is geographically divided into the Inner Kakheti to the east of Tsiv-Gombori mountain-range and the Outer Kakheti to the west of it. The major river of the eastern part is Alazani, of the western part - Iori. Kakhetians speak a local dialect of Georgian.

</p>

The Georgian David Gareja monastery complex is partially located in this province and is subject to a border dispute between Georgian and Azerbaijani authorities.

<br>


Beyond the modern-day administrative subdivision into the districts, Kakheti has traditionally been subdivided into four parts: Inner Kakheti along the right bank of the Alazani River, Outer Kakheti along the middle Iori River basin, Qiziki between the Alazani and the Iori, and Thither Area on the left bank of the Alazani. It also includes the medieval region of Hereti whose name fell into gradual oblivion since the 15th century.

## <H2 ALIGN = "center"> Imereti </h2>

<p align="justify">The Kingdom of Imereti was established in 1455 by a member of the house of Bagration when the Kingdom of Georgia was dissolved into rival kingdoms. Before that time, Imereti was considered a separate kingdom within the Kingdom of Georgia, to which a cadet branch of the Bagration royal family held the crown beginning in 1260 by Davit VI, King of Georgia.</p>

</body>

</html>



სურ.1.5.

## 1.6. Font

ელემენტი <Font> საშუალებას გვაძლევს  
შემცველოთ შრიფტის ფერი, ზომა ან ტიპი. <Font>  
და </Font> ტეგების გარეთ გამოიყენება ფონტი,  
რომელიც მიეთითება ელემენტ <Basefont>-ით.

**პარამეტრების აღწერა**  
size განსაზღვრავს შრიფტის ზომას.  
შესაძლო მნიშვნელობები: a) მოელი რიცხვები  
1-დან 7-ის ჩათვლით; b) ფარდობითი ზომა

განისაზღვრება იმ ბაზურ ზომასთან მიმატების გზით, რომელიც განისაზღვრება Basefont size-ით.

face განსაზღვრავს შრიფტის სახეობას.

color განსაზღვრავს ტექსტის ფერს.

face პარამეტრი ემსახურება იმ შრიფტის ტიპის მითითებას, რომელიც უნდა გამოჩნდეს ბრაუზერის ფანჯარაში (თუ კომპიუტერში არსებობს ასეთი სახის შრიფტი). შესაძლებელია როგორც ერთი, ისე რამდენიმე შრიფტის ერთდროულად მითითება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თვისებაა, რადგან სხვადასხვა სისტემაში შეიძლება იყოს თითქმის იდენტური შრიფტები განსხვავებული სახელშოდებით. სხვა მნიშვნელოვანი თვისებაა, რომელიმე შრიფტის გამოყენებისადმი უპირატესობის მინიჭება. შრიფტების სია განიხილება მარცხნიდან მარჯვნივ. თუ მომხმარებლის კომპიუტერზე არ არის სიაში მითითებული პირველი შრიფტი, მაშინ იწყება მომდევნო შრიფტის ძებნა და ა.შ. თუ ასეთი შრიფტი არ მოიძებნა, მაშინ მოცემული ბრძანება იგნორირებული იქნება და გამოიყენება შრიფტი, რომელიც დაყენებულია კომპიუტერში

სტანდარტულად. მითითებული შრიფტების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს სამს.

მაგალითი:

<html>

<head><title> fonts </title>

</head>

<body>

There is a text

<br>

<font face = "Verdana", "Arial", "Helvetica">

Sample text

</font>

</body>


</html>

Size პარამეტრი გამოიყენება შრიფტის ზომების მისათითებლად, პირობით ერთეულებში 1-დან 7-ის ჩათვლით. ითვლება, რომ შრიფტის ზომის ნორმალური მნიშვნელობაა 3. შრიფტის ზომა მიეთითება როგორც აბსოლუტური (size = 2), ისე ფარდობითი სიდიდის სახით (size = + 1).

გაგალიო

```
<html>
<head><title> font size </title>
</head>
<body>
<font size = 1> font size 1 </font><br><br><br>
<font size = 2> font size 2 </font><br><br><br>
<font size = 3> font size 3 </font><br><br><br>
<font size = 4> font size 4 </font><br><br><br>
<font size = 5> font size 5 </font><br><br><br>
<font size = 6> font size 6 </font><br><br><br>
<font size = 7> font size 7 </font><br><br><br>
</body>
</html>
```

მიღებულ შედეგს აქვს შემდეგი სახე:



სურათი 1.6.

## 1.7. სიტყვა

დანომრიცვი სიტყვა იქმნება ტექ სიტყვა

მეშვეობით: <ol>...</ol>

გაგალიო: <html>

<head>

<title> list of people </title>

</head>

<body>

<ol>

<li> Vano

<li> Dato

```

<li> Elene
</ol>
</body>
</html>

ბრაუზერის ფანჯარაში მიღებულ HTML დოკუმენტს
ექნება შემდეგი სახე:
1.Vano
2.Dato
3.Elene
</ol>- ის ატრიბუტებია start და type:
type = A ნუმერაციის ტიპი (A,B,C და ა.შ).
type = a ნუმერაციის ტიპი (a, b, c...)
type = I ნუმერაციის ტიპი (I, II, III...)
type = i ნუმერაციის ტიპი (i, ii, iii...)
type = 1 ნუმერაციის ტიპი (1, 2, 3...)
Start = n ნუმერაცია იწყება n-დან
მარკირებული სია იქმნება ტექ <ul>-ის საშუალებით:
<ul>...</ul>
მაგალითი: <html>
<head>
<title> List </title></head>

```

```

<body>
<ul>
<li> Programming
<li> Algorithm
<li> Design
</ul>
</body>
</html>

შედეგად მიიღება მარკირებული სია:
• Programming
•Algorithm
•Design
<ul> მარკერს აქვს ატრიბუტი type, რომელიც
საშუალებას იძლევა წრის ნაცვლად სიაში ჩასვას
გვადრატი:
<ul type = square>
<li> first element </li>
<li> second element </li>
</ul>

```

განსაზღვრებათა სია იწყება <DL> ტეგით და  
მთავრდება დახურვის </DL> ტეგით. თითოეული  
ტერმინი იწყება </DT>-თი, აღწერა კი </DD>-თი.  
<DL>  
<DT> I ტერმინი  
<DD> I განსაზღვრება  
<DT> II ტერმინი  
<DD> II განსაზღვრება  
...  
</DL>.....

ხშირად, განსაზღვრებათა სიას იყენებენ  
ტექსტის ოდნავ მარჯვნივ გასაწევად.

მაგალითი:

```
<html>
<head>
<title> List and definition
</title>
</head>
<body>
<DL>
<DT> A
```

<DD> first symbol of alphabet  
<DT> B  
<DD> Second symbol of alphabet  
<DT> C  
<DD> third symbol of alphabet  
</DL>  
</body>  
</html>

ზემოთ მოცემული კოდის საშუალებით  
ბრაუზერის ფანჯარაში მიიღება შემდეგი სურათი:

A first symbol of alphabet  
B Second symbol of alphabet  
C third symbol of alphabet

ზემოთ განხილული სამიგე ტიპის სის  
ერთმანეთში ჩადგმა შესაძლებელია.  
მაგალითი: <html>  
<head>  
<title> More difficult lists </title>  
</head>  
<body>

```

<H1> Difficult list </H1>
<dl>
<dt> html
<dd> Hyper-text markup language
<ul>
<li> element1
<li> element2
<li> element3
</li>
</ul>
<dt>GOL
<dd>Georgia Online
<ol start=4>
<li>element 4;
<li>element 5;
<li>element 6;
</ol>
<dt> RAM
<dd> Random access Memory
<p> Network neighborhood
<p> computer Aided design </p>


```

</dl>

<body>

</html>

ბრაუზერის ფანჯარაში მიღებულ შედეგს აქვს  
შემდეგი სახე:



სურ. 1.7.

## 1.8. ბრაუზერი გამოსახულება HTML დოკუმენტი

გრაფიკული გამოსახულების ჩასასმელად Html  
დოკუმენტში გამოიყენება ტეგი <img>:  
<html>  
<head>  
<title> Image </title>

```

</head>
<body>
<H1> Image </H1>
<p><img src = "picture. gif" ALT = "This is picture" Height =
20 Width = 30 ></p>
</body>
</html>

```

img src = "Picture. gif"- დოკუმენტში ჩასვამს გამოსახულებას, რომელიც მოცემულ HTML დოკუმენტთან ერთად, ერთ საქაღალდებაშია მოთავსებული.

Height = 20 მიუთითებს გამოსახულების სიმაღლეს პიქსელებში.

Width = 30 მიუთითებს გამოსახულების სიგანეს პიქსელებში.

გამოსახულების ზომების შესახებ ინფორმაციის მითითებით, გვერდის ავტორი აჩქარებს მისი ჩამოტვირთვის პროცესს; რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, დოკუმენტი უფრო ადრე დაინახოს. ბრაუზერი იყენებს height-ისა და width-ის მნიშვნელობებს, რათა გვერდზე დატოვოს ადგილი

გამოსახულებისათვის. როდესაც გამოსახულება ჩამოიტვირთება, ის გამოჩნდება ამ რეზიუმირებულ ადგილას. height-ისა და width-ის მნიშვნელობების მითითების გარეშე, ბრაუზერს მოუწევდა მთლიანად გამოსახულების ჩატვირთვა, შემდეგ დაიწყებდა მისი ზომების გამოთვლას, განათავსებდა ეკრანზე და მხოლოდ ამის შემდეგ, დაიწყებდა ეკრანზე დანარჩენი ელემენტების მოთავსებას.

ტეგ <IMG>-ის ატრიბუტები:

- ALT - გამოსახულების ტექსტური ალტერნატივა;
- ALIGN - გამოსახულების გარშემო მოთავსებული ტექსტის გასწორება;
- Height - გამოსახულების სიმაღლე პიქსელებში;
- Width - გამოსახულების სიგანე პიქსელებში
- Hspace - განსაზღვრავს გამოსახულების მარცხნიდან და მარჯვნიდან თავისუფალი ადგილის ზომას.
- Vspace - განსაზღვრავს გამოსახულების ზემოთა და ქვემოთა მხრიდან თავისუფალი ადგილის ზომას.
- SRC - მიუთითებს გამოსახულების URL-ს
- Border - მიუთითებს გამოსახულების ჩარჩოს ზომას პიქსელებში.

ALIGN-ს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ხუთი მნიშვნელობიდან: Left, Right, Top, Middle, Bottom.

LEFT- სურათი იქნება მარცხენა მხარეს, ტექსტი კი დოკუმენტის დანარჩენ ადგილს დაიკავებს სურათის მარჯვენა მხარეს.

RIGHT – სურათი იქნება მარჯვნივ, ტექსტი – მარცხნივ;

TOP – ტექსტი სურათის ზედა კიდის გასწვრივ;

MIDDLE – ტექსტი სურათის ცენტრის გასწვრივ;

BOTTOM – ტექსტი სურათის ქვედა კიდის გასწვრივ.

<img src = “giko.jpg” align=“left”> - ნიშავს, რომ სურათი მოთავსებული იქნება, მარცხენა მხარეს; ტექსტი მას გარს შემოუვლის მარჯვნიდან. იმისათვის, რომ სურათი მოთავსდეს მარჯვნივ და ტექსტი მარცხნივ, უნდა დაიწეროს:


<img src = “giko.fpg” align = “right”>  
როგორც უკვე იცით, ერთი ტეგის ატრიბუტები შეიძლება ერთდროულად იქნეს გამოყენებული:  
<img src = “tt.gif” align = “left” hspace = “30”, vspace = “5”, alt = “My picture”>

ეს ჩანაწერი აღნიშნავს, რომ სურათი მოთავსებული იქნება ეკრანის მარცხენა მხარეს; ტექსტი მას შემოუვლის მარჯვნიდან; დაშორება ტექსტამდე პორიზონტალურად - 30 პიქსელი, ხოლო გერტიკალური მიმართულებით 5 პიქსელი იქნება. თუ სურათთან მიიტანო კურსორს, იქ გაჩნდება წარწერა: “My picture”.

მაგალითისთვის შექმნით html დოკუმენტი:

```
<html>
<head><title>Untitled Document</title>
</head>
<body text = “#336699” bgcolor = #FFFFFF>
<H1 align = center>ქეთევან ნანობაშვილი</H1>
<br>
<font color = “#CC0000”><b>მოგესალმებით</b></font>
<p align="justify">
<img src=“..My Documents/My
Pictures/DSC05828.JPG“align = “left” width=“251”
height=“200” Hspace = 30 Vspace = 5 alt/>
```

მე ვარ ქეთევან ნანობაშვილი, პედაგოგიურ  
მეცნიერებათა კანდიდატი; სტუ-ს ასოცირებული  
პროფესორი; თესაუ-ს სრული პროფესორი;  
საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების  
განვითარების ფონდი - "ინტელექტის"  
აღმასრულებელი დირექტორი;  
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ "ინტელექტის"  
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე  
</p>  
</body>  
</html>



სურ.1.8.

## II თავი

### MACROMEDIA DREAMWEAVER

#### 2.1. WEB-გვერდის გრეიდებად დაყოფა

ფრეიმის მეშვეობით შესაძლებელია Web-  
ფურცლის დაყოფა ნაწილებად. ყველა დაყოფილი  
ნაწილი ცალკე Web გვერდია, მაგრამ ჯამში იგი  
წარმოადგენს ერთ გვერდს. ფრეიმის საშუალებით  
Web გვერდი შეიძლება დაყვოთ იმდენ ნაწილად,  
რამდენადაც გვინდა, მაგ., ვდგებით ცარიელ Web-  
გვერდზე და ძირითადი მენიუს Modify ჩანართში  
ვირჩევთ Frameset ბრძანებას ან ობიექტების ჩასმის  
ხელსაწყოების ფანჯარაში გაჭერთ Layout ჯგუფის  
Frames ლილაპს, გამოსულ ფანჯარში:





სურ. 2.1

Frame-ვირჩევთ ფრეიმის განლაგების სახეს, თუ სად გვინდა მისი ჩასმა: მარჯვნივ, მარცხნივ, ფურცლის თავში თუ ფურცლის ბოლოში.

Title-ვწერთ სათაურს, რომელიც აისახება ბრაუზერის ფანჯარაში. არჩევის შემდეგ ვაჭერთ ok ღილაკს და ჩვენი **Web** გვერდის მარცხენა ნაწილი გაიყოფა შუაზე. ფრეიმის ჩასმის შემდეგ ჩატარდება ფრეიმის რედაქტირება Properties მენიუში:

Row-ბრძანების მეშვეობით ფრეიმის სტრიქონი გაიზრდება პროცენტებით და პიქსელებით.

Column-ბრძანების მეშვეობით, ფრეიმის სვეტი გაიზრდება პროცენტებით და პიქსელებით.

Border-ბრძანების მეშვეობით, ფრეიმის ხაზი ჩაირთვება ან გაუქმდება.

Border width-ბრძანების მეშვეობით ფრეიმის ხაზის სისქე გადიდდება ან შემცირდება. Border color-ბრძანებით კი – ფრეიმის ხაზის ფერი შეირჩევა ან გაუქმდება.

### დაგალება

1. Web ფურცელი ფრეიმის საშუალებით დაყავით სამ ნაწილად.
2. ფრეიმის ხაზს მიეცით წითელი ფერი.
3. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ფაილი შეინახეთ HTML -და.

## 2.2. ტექსტის ჩასმა და რედაქტირება

თუ გვინდა ტექსტის ჩასმა Web-გვერდზე და შემდეგ რედაქტირება, ამისათვის კურსორით ვდგვინით Web-ფურცელზე სასურველ ადგილას და კლავიატურის მეშვეობით აგვრევთ ტექსტს. შრიფტის ასარჩევად ვასრულებთ ბრძანებას Properties, ან ძირითადი მენიუს Text ჩანართში ვირჩევთ:

Font – სასურველ შრიფტს;

Size – ტექსტის ზომას;

Style – ტექსტის სტილს;

Font color – ვაძლევთ ტექსტს ფერს;

**B** Bold-ვამუქებთ ტექსტს;

*I* Italic ბრძანების საშუალებით დავხრით ტექსტს;


Align left ბრძანების საშუალებით ტექსტს განვათავსებთ მარცხნივ.

Align center-ბრძანების საშუალებით ტექსტს განვათავსებთ ცენტრში.

Align right-ბრძანების საშუალებით ტექსტს ვასწორებთ მარჯვნივ.

ასევე, ამ პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია ტექსტის დანომვრა ნუმერაციით და ასევე უნომროდ (წერტილებით) .

სტანდარტული მენიუს Page Properties – ღილაკზე დაჭრით გამოვა ფანჯარა, სადაც Appearanse ჩანართში ვირჩევთ:



სურ. 2.2.

Background color-ხდება web-ფურცელზე ფერის ჩასმა ფონად, ხოლო Background image-ბრძანების საშუალებით კი – web-ფურცელზე სურათის ჩასმა ფონად.

## Link-ჩანართში გაძლევთ ლინკს სტილს, სადაც:


Link color - ვირჩევთ ტექსტის საწყის ფერს.

Rollover link-მასზე მაუსის კურსორის

მოთავსებისას, ტექსტი შეიცვლის ფერს.

Active link-მასზე მაუსის კურსორის დაჭრისას, ტექსტი შეიცვლის ფერს.

Underline style-ბრძანებით კი ტექსტი, რომელზეც თავსდება ლინკი, შესაძლებელია ქვემოთ გაფუსვათ ქვეშ ხაზი ან მოვუხსნათ. ამას იმ შემთხვევაში ვიყენებთ, თუ გვინდა ჩვეულებრივი ტექსტი განვითაროთ დალინკები ტექსტისაგან. სასურველი ვარიანტის არჩევის შემდეგ, ვადასტურებთ ბრძანებას ok.



სურ. 2.3.

Title-Encoding-ჩანართში ვირჩევთ ქართულ შრიფტს Unicode (UTF-8). და ვადასტურებთ ბრძანებას ok.

შენიშვნა: Unicode (UTF-8) შრიფტს ნებისმიერი კომპიუტერი აღიქვამს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასში ქართული შრიფტები არ არის დაყენებული (დაინსტალირებული).

## დავალება


1. web-გვერდზე აკრიფეთ ტექსტი;
2. აკრეფილ ტექსტს მიეცით ფერი;
3. ტექსტს მიეცით ზომა 16 და შრიფტი AcadNusx;
4. აკრეფილ ტექსტზე ლინკი მოათავსეთ სასურველ ობიექტზე.

## 2.3. Image - ბრაზიპული რგივაზის მოთავსება

ძირითადი მენიუს **Insert** პუნქტში შევასრულოთ ბრძანება Image ან ობიექტების ჩასმის ხელსაწყოების



ფანჯარაში:



სურ. 2.4.

ვირჩევთ ობიექტს. ჩასმული Image ობიექტის თვისებათა ფანჯარაში: Image შეგვავს სახელი, Alt გრაფში ტექსტი, რომელიც ბრაუზერში მაუსის კურსორის ობიექტზე მოთავსების დროს გამოდის.

Src-გრაფიკული ობიექტის შესაბამისი ფაილის არჩევა (ამ შემთხვევაში, გრაფაში მოთავსდება ობიექტის ფაილის სახელი).

Link-გრაფიკული ობიექტისთვის პიპერმიმართვის არჩევა.

W.H-გრაფიკული ობიექტის სიგანისა და სიმაღლის განსაზღვრა, თუ საჭიროა ობიექტის თავდაპირველი ზომების დაბრუნება; ამ ველების მარჯვნივ მდგომ დილაპზე დაწყაპუნება.

Align-ჩასმულ გრაფიკულ ობიექტსა და ტექსტს შორის განლაგებას სხვადასხვა ფორმით არჩევა.

Vspace-დაშორება ობიექტსა და გვერდის ზედა კიდეს შორის.

Wspace-დაშორება ობიექტსა და გვერდის მარცხენა კიდეს შირის.


border-ჩარჩოს სისქე თუ არ არის მითითებული ჩარჩო.

Low Src-შეგვაქვს გრაფიკული ან ტექსტური გამოსახულების ფაილი, რომელიც წინასწარ მოთავსდება მთავარი გრაფიკული ობიექტის ჩატვირთვამდე.

Edit – რედაქტირება **fw Macromedia Fireworks**

## დავალება

1. ჩასვით სურათი;
2. შეუცვალეთ ზომები;
3. დალინკეთ სურათი ნებისმიერ web-გვერდზე.



## 2.4. Hyperlink - პიპერმიმართვის მოთავსება

ძირითადი მენიუს Insert პუნქტი ვასრულებთ Hyperlink ბრძანებას ან ობიექტების ჩასმის ხელსაწყოების ფანჯარაში ვაჭერთ Common ჯგუფის Hyperlink ღილაკს.

დიალოგური ფანჯრის Text ველში შევიტანოთ პიპერმიმართვის სახელი. Link ველში შევიტანოთ ფაილის სახელი, რომელზეც უნდა მოხდეს მიმართვა ან ფაილის მოსაძებნად დავაჭერთ საქადალდის ნიშნაკზე და დავაწაპუნებთ შესაბამისი ფაილის სახელზე.

სურ. 2.5.

Target-ველში ავირჩვთ ფანჯარას, რომელშიც უნდა გაიხსნას პიპერმიმართვით არჩეული ფაილი. ველის მარჯვნივ მდგომ ისრიან დილაკზე დაჭერით გამოსული ჩამონათვალიდან შეგვიძლია ავირჩიოთ შემდეგი დარეზერვირებული სიტყვები:

Blank-მიმართვის ფაილი გამოვა ახალ ფანჯარაში.

Parent-მიმართვის ფაილი გამოვა frameset-ში ან ბრაუზერის მთლიან ფანჯარაში.

Self -მიმართვის ფაილი გამოვა იმავე ფანჯარაში ან ფრეიმში, რომელშიც პიპერმიმართვაა მოთავსებული. ეს პარამეტრი სტანდარტულად აირჩევა.

Top-მიმართვის ფაილი გამოვა ბრაუზერის  
მთლიან ფანჯარაში.

Title-ველში შევიტანოთ ჰიპერმიმართვის  
სათაური, რომელიც გამოჩნდება ჰიპერმიმართვაზე  
მაუსის კურსორის მოთავსებისას.

Access key-მივუთითებთ ერთ ასოს, მაგალითად  
M. შემდეგში ამ ჰიპერმიმართვის ასარჩევად  
კლავიატურაზე დავაჭიროთ Alt + M.


Tab index-შევიტანოთ რიცხვი, რომელიც  
განსაზღვრავს ჰიპერმიმართვის არჩევის რიგს Tab  
დილაპზე დაჭირისას.

**ობიექტები** ცალკეული მონიშვნელობის  
უბნებისათვის ჰიპერმიმართვის შექმნა. ობიექტის  
მოთავსების შემდეგ, მოვნიშნავთ მის ცალკეულ  
უბანს. ამისათვის მოვნიშნავთ ობიექტს და  
თვისებათათა ფანჯარაში ავირჩევთ მომართვას  
სხვადასხვა, ფორმას, მარტინიულობას მიმდევად:

 Draw Polygon Hotspot მრავალკუთხედი, წრე, წირი.  
მონიშვნის შემდეგ, Link-ში შევიტანოთ ფაილის  
სახელი, რომელზეც უნდა მოხდეს მიმართვა.

## დაგალება

### შექმნით მარტივი WEB გვერდი




სურ. 2.6.

გამოიყენეთ ყველა ის შესწავლილი  
ლაბორატორიული სამუშაო, რომელიც აქამდე  
განვიხილეთ.

## 2.5. ცხრილის მოთავსება

ძირითადი მენიუს Insert პუნქტში შევასრულოთ  
ბრძანება Table ან ობიექტების ჩასმის ხელსაწყოების  
ფანჯარაში დავაჭიროთ Common ჯგუფის Table დილაპს.

გამოსულ ფანჯარაში შევიტანოთ შემდეგი ველების მნიშვნელობები:



სურ. 2.7.

Rows-სტრიქონების რაოდენობა;

